ხელშეკრულება №7
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „ 21 „ აპრილი “ 2017 წ.

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ ბენდი“ (შემდგომში – დამკვეთი), მისი დირექტორის კახი მარკოზაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფპ ოლეგ კრომმის სახით (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქალაქ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრ „ბიგ ბენდის“ სახსრებით ორკესტრისთვის ბიბლიოთეკარის მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი CPV-92511000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია ბიბლიოთეკარის მომსახურების შესყიდვა (ორკესტრის ბიბლიოთეკაში დაცული პარტიტურების მოვლა პატრონობა, რეპეტიციებისა და კონცერტების დროს მუსიკოსებისთვის სათანადო მომსახურების გაწევა).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3060.00 (სამიათასსამოცი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ მოხდება პერიოდულად მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

5.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

- შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 შემსრულებელი ვალდებულია:

- დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მომსახურება. დაიცვას ხელაშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიღების პარალელურად მოახდინოს ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს კახი მარკოზაშვილი.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.04.2017-31.12.2017

(რიცხვი, თვე, წელი)

14.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი დამკვეთთან და ერთი პირი შემსრულებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი:	შემსრულებელი:
ქალაქ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ ბენდი“ მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ №8	ფპ ოლეგ კრომმ მის: სართანიას 4 ბანკი: „თიბისი“ ბანკი ბ/კოდი: TBCBGE22
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კ TRESGE22 ს/კოდი: 202064942	ა/ა № GE82TB7061345061100028 პ/ნ: 01020011931

ქ. თბილისის მერის საკონცერტო
დირექტორი

კახა მარკოზაშვილი

ოლეგ კრომმ

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

21 აპრილი 2017 წ.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ააიპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდის" დირექტორი კახი მარკოზაშვილი ხელის მოწერით ადასტურებს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში ფპ ოლეგ კრომმის მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კახი მარკოზაშვილი
ორკესტრის დირექტორი

მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს
ა ქ ტ ი 7/04

ქ. თბილისი „ 26 „ აპრილი “ 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა, ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგ ბენდი“ მისი დირექტორის კ. მარკოზაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფპ ოლეგ კრომმის სახით 2017 წლის „21„ აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება №7-ის თანახმად ვადგენთ ამ აქტს მასზე, რომ „შემსრულებელმა“ „დამკვეთს“ გაუწია საბიბლიოთეკო მომსახურება ორკესტრის სამუშაო რეპეტიციებზე და 20 წლის საიუბილეო ღონისძიების მომზადების ყოველდღიურ რეპეტიციებზე.

წინამდებარე აქტი ადასტურებს მომსახურების გაწევას და წარმოადგენს დადგენილი ანაზღაურების გადახდის საფუძველს.

თანხა შეადგენს 765.00 (შვიდასსამოცდახუთი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ქ. თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრში, ხოლო მეორე ფპ ოლეგ კრომმთან.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

„ბიგ ბენდი“-ს დირექტორი

კ. მარკოზაშვილი

. . . . . .

ფპ ოლეგ კრომმ

ო. კრომმ

. . . . . .